ფრე ვორონეჟში

გუშინ ვორონეჟში შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. თბილისის დინამოელები აქ შეხვდნენ ადგილობრივ "ტრუდს".

პირველი ტაიმი მასპინძლებმა დიდი აღმავლობით ჩაატარეს და ჯერ კიდევ დასაწყისში გაიტანეს გოლი. ნახევარმცველმა მანუილოვმა შორი მანძილიდან დაარტყა კარში, მეკარე კოტრიკაძე არ იყო მზად და ყოველგვარი რეაგირების გარეშე გაუშვა ბურთი _ 1:0.

შესვენების შემდეგ თბილისელები შედარებით უკეთ თამაშობდნენ, მაგრამ მაქსიმუმი, რაც მათ შეძლეს, ეს იყო მე-8 წუთზე გატანილი საპასუხო გოლი: მელაშვილმა დაარტყა კარისკენ, ბურთი მოხვდა იმავე მანუილოვს და ბადეში აღმოჩნდა. მატჩის შედეგია 1:1.

"დინამო" თამაშობდა ასეთი შემადგენლობით: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ჩოხელი, ხოჭოლავა, ზეინკლიშვილი, იამანიძე, მელაშვილი, ბარქაია, კალოევი, დათუნაშვილი, მესხი.

"ლელო", 6 ივნისი, 1961 წ.